# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 61 ხუთშაბათი, 18 მარტი 1910 წ. № 61

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ...

რედაქციის ადრესი: ტფილისი, ... ქ. № 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „Дроэба".

ცალკე ნომერი [illegible]

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.


ილია, ელენე, ლევან. ნიკოლოზ, ივანე და ალექსანდრე ნაკაშიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ 15 მარტს უეცარ გარდაცვალებას მათის ბიძის

**თავ. თევდორე გიორგის ძის ნაკაშიძისას.**

პანაშვიდი მიხეილის საავადმყოფოში საღამოს 6 საათზე, 18 მარტს. გამოსვენების შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული. (2—6.—1)

15 მარტს, საღამოს 10 საათზე, ტრაგიკულად გარდაიცვალა სამსახურს გარეშე მყოფი პოლკოვნიკი

**თავ. თევდორე გიორგის ძე ნაკაშიძე,**

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის **ძმის წულები და დის წულები.** პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე მიხეილის საავადმყოფოს ნიშში.

გამოსვენების და დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2—6.—1)

13 მარტს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ყირიმში თავის მამულში, კუჩუკ ლამბათში, გარდაიცვალა

**კნეინა ანასტასია დავითის ასული გაგარინისა,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ კნ. **ელენე იაკობის ასული თარხნიშვილისა, კნ. თამარ გრიგოლის ასული დადიანისა და გრაფინა ანასტასია გრიგოლის ასული აპრაქსინისა.**

დაკრძალვა კუჩუკ ლამბათში 18 მარტს. (1—185—1)

უზომოდ დამწუხრებული **პარასკევა სამსონის ასული ქავთარაძისა** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 21 მარტს, უსაყვარლესის მეუღლის

**აზნ. სამსონ ბეჟანის ძის ქავთარაძის**

გარდაცვალების მეორმოცე დღის, ფოთის სასაფლაოს ეკლესიაში გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი. ბოლოს გამოტირილი. (2—ფ.—2)

## ქართული თეატრი

**პარასკევს, 19 მარტს, 1910 წ.**

## ნინო კოლხიდელი

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის დახმარებით გამართავს წარმოდგენას კონცერტითურთ. წარმოდგენილი იქნება:

## პირველი ბუზი

მხიარული კომედია 3 მოქ. ვ. გუნიას მიერ გადმოკეთებული.

მონაწილეობას იღებენ: ნ. კოლხიდელი, ა. კარგარეთელი, ნ. გამყრელიძე, ბ. ასათიანი, ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ა. იმედაშვილი, გ. იშხნელი, დ. მგალობლიშვილი, კ. ქელიძე და სხვანი.

II

## დივერტისმენტი

**ვანო სარაჯიშვილი**—იმღერებს რომანსებს. **ი. პიახეცკი**—წაიკითხავს ლექსებს და სცენებს. **ვ. აბაშიძე** და **გედევანოვი**—იმღერებენ კომიკურ კუპლეტებს. **ნ. კოლხიდელი**—წაიკითხავს ლექსებს. **გ. იშხნელი**—წაიკითხავს ლექსებს. **ნ. ერისთავი**—წაიკითხავს ლექსებს. **ი. გრიშაშვილი**—წაიკითხავს სცენებს და ლექსებს.

**დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.**

(3—2) ადგილების ფასი ჩვეულებრივია. რეჟისორი **ვალ. გუნია.**

## საკოლონიო ამხანაგობა
### შეკერილ ტანისამოსის განყოფილება
### „ობოროტი"

(ამიერ-კავკ. რკინის გზების მოსამსახურეთა მომხმარებელ საზოგადოების საქონლის ჩამბარებელი)

**ამით აუწყებს** მომხმარებელ საზოგადოების წევრთ და კერძო მუშტარს, რომ 11 მარტიდან გაიხსნა **ყოველნაირი ტანისამოსი მამაკაცთა პორტიკულიარული, ფორმისა და მოწაფეთათვის, ქალთა ტანისამოსი, პარიზის უკანასკნელ მოდაზე დამზადებული. ფასები შეუვაჭრებლად**, კონკურენციის გარეშე.

მაღაზია მოთავსებულია გოლოვინის პროსპექტზე, № 16, სახაზინო თეატრის პირდაპირ. (5—გაჟ.—6)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარდან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. ჯაჯანაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

**ზ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—297)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.**: შინ. და პაიშვ. ყ.-დ. ... ხას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საა...

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ... ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ...

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღლაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ.,

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ ს.** თვალის, ორშ., ო... და პარასკ. 2 2-ნახ. ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე

**პაპოვი ვ. ა** ქურ., ყელის და ცხვი., ყო... დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**ხოზილევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—6.—134)

## სეზონი გაზაფხული და ზაფხული 1910 წ.

### ● მაღაზია ●
### ს. გ. კაფიევისა

ერევნის მოედანი, სახ. ხარაზოვისა.

### ახალთ-ახალი საქონელი სეზონისა

მიღებულია მრავლად საქონელი ქალებისა და კაცების ტანისამოს-კოსტიუმებისთვის.

საწყობი ტილოსი ამხ—ბა ს. სიდოროვისა.

(2—ხალ.—2)

ადგილობრივ და სხვა ქალაქების ჟურნალ-გაზეთებისთვის განცხადების მომკრეფი აგენტი

## მ. ა. ბაქონია

იღებს შეღავათიანის პირობებით ყოველ გვარ განცხადებას როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქთა გაზეთებისთვის.

ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს ამ ადრესით:

(20—13) **ტფილისი, ველიკოკნიაჟსკ ქ., № 40. ტელეფონი № 215.**

## სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი
## ქუთაისში

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის **ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა,** მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (45—151—31)

**ექიმი ა ნ. დიასამიძე** განისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—4 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი დ. ახვლედიანი** იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩრაია). (0—84

**ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა** იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—6.—41

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი შ. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კამერლოვის ქუჩ. N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—52)

**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდუშელის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა. (0—586—391)

**ექიმი ქუთაისში ფ. ი. ვასნევსკი** იღებს ავადმყოფებს შინაგან სნეულებათა და ბებიაობისას დილით 11—1 საათამდე, საღ., 5—7 საათამდე. კაზაკოვის ქ. N 13. ღარიბებს უფასოდ. (25—ვვ.—9)

**ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტროთერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—ვვ.—28)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—125)

**ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—142)

**ექიმი სპეციალისტი ქ. ქუთაისში გ. დ. ბეთანოვი** მიიღებს სიფილისით, ვენერიულის და კანის სენით ავადმყოფებს. აფთიაქის და კლუბის ქ. ქ. კუთხეში N 24/2 ყოველ დღე დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 ს. (25—ფ.—16)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

**ქუთაისში**
**კბილის ექიმი ა. ა. ბუტულოვისა**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. და საღამოთი 4—7 ს. მოსწავლენი იხდიან ნახევარს. გიმნაზიის ქ., ა. თუმანოვის სახლი, ბულვარის პირდაპირ. 25—კვ.—1

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში** იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—64)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

**ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.**

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

**ბოგოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

**ნოვიცკი**—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.

**კალამქაროვი**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.

**ასპიროვი**—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.

**ფონდოევი**—ნერვ. და ელექტროთერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წესით. (100—6.—23)

## ჟურნალ „სხივის"-ს
### ხელის მომწერთა და მკითხველთა საყურადღებოდ.

რადგან ჟურნალი „სხივი"-ს გამოცემა დღეიდან ჩემზე გადმოვიდა, ჟურნალი კვლავ იწყებს გამოსვლას იმავ პროგრამით და იმავ შინაარსით, როგორც ამდენ ხანს გამოდიოდა. მორიგი № 12 გამოვა კვირას, 28 მარტს, (ტფილისში გაიყიდება შაბათს, პროვინციებში გაიგზავნება პარასკევს, 26 მარტს). დღეიდან ყოველივე წერილები და ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ Типографія „Культура". Вельяминовская улица, Валеріану Михайловичу Биланову.

ვსთხოვ, იმ ხელის მომწერთ, რომელსაც რომელიმე ნომერი არ მიუღია, შეგვატყობინოს, რომ გავუგზავნოთ.

წლიური ხელის მომწერნი ყველა ნომრებს უკლებლივ მიიღებენ პრემიებითურთ.

(3—2) **ვალერიან ბილანიშვილი.**

**ყვირილის სამარხი კასის**

## გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ მორიგი ჩვეულებრივი **საზოგადო კრება კასისა** დანიშნულია ამ წლის 28 მარტისთვის დ. ყვირილაში ადგილობრივ კლუბის დარბაზში, დილის 10 საათზე. (3—6.—3)

## ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში

იღებენ შესაკერად კაბებს ქალებისას და ბავშვებისას, ძალიან იაფად, აგრეთვე საცვლებს და სხვა და სხვა ხელ-საქმეს „გლადით" და „მეტკებს".

ადრესი: ვერა, გაბაშვილის ქ., № 3. (10—10)

## დემოკრატიის გაერთიანება
### 2. *)

მიუხედავად იმისა, რომ კულტურულ საკითხების გადაწყვეტის დროს პრინციპიალური განხეთქილება საზოგადოებრივ ჯგუფთა შორის (სახეში მყავს ს.-დემოკრატები, ს.-ფედერალისტები და ნაციონალ-დემოკრატიული ელემენტები) დღევანდელ პირობებში თითქმის უმნიშვნელოა, ისინი მაინც ძველებურად შფოთვენ და ჩხუბობენ. ს.-დემოკრატიას ძველებურად განსაკუთრებული პოზიცია უჭირავს და იგი ემიჯნება ყველას, ვინც მის ბანაკს არ ეკუთვნის.

წარსულ შემოდგომას სახალხო თეატრის წრეებში განხეთქილებამ იჩინა თავი. საქმე იმაშია, რომ წინად სახალხო თეატრის სექცია სახალხო უნივერსიტეტის დროშის ქვეშ მოქმედებდა. ყველამ იცის, რომ სექციის კავშირი უნივერსიტეტთან იყო ფიქტიური, რადგან უნივერსიტეტი არავითარ დახმარებას არ უწევდა თეატრალურ სექციის მოქმედებას. გამოირკვა, რომ თეატრალურ სექციაში უკმაყოფილება ჰსუფევდა და მის წევრთა შორის მომწიფდა განცალკევების აზრი. შეადგინეს ახალი წრე, რომელშიაც შევიდნენ თითქმის ყველანი, ვინც კი სახალხო თეატრის სცენას ემსახურებოდა, საუკეთესო არტისტები —მოყვარენი და შეუდგნენ ბ-ნ შათირიშვილის რეჟისორობით სახალხო წარმოდგენების მართვას ზუბალაშვილების სახალხო სახლში. წარმოდგენებს აურებელი ხალხი ესწრებოდა და თეატრალური სექცია პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას. არასოდეს სახალხო თეატრის საქმე არ იყო ისე კარგად დაყენებული, როგორც ეს იყო წარსულ შემოდგომა-ზამთარში. მაგრამ ამ ნიადაგზე მოხდა დიდი აურ-ზაური.

დამოუკიდებელ წრის დაარსების მომხრე არტისტების გარდა აღმოჩნდა რამდენიმე სოციალ-დემოკრატი — „ბოლშევიკი", აგრეთვე ცნობილი მოამაგე სახალხო თეატრისა განსვენებული მარია დემურია, გ. ლასხიშვილი და სხვანი. აი ამ ხალხს ეძგერნენ „ორტოდოქსები". „ბოლშევიკები" მოღალატეებათ მონათლეს. მარია დემურია, რომელსაც უკვე აღმოაჩნდა ავადმყოფობა უზომო აღელვებისა და დაქანცვისაგან, ორპირ პიროვნებად გამოაცხადეს და ადამიანი, რომელიც თვრამეტი წლის განმავლობაში როგორც თავის საკუთარ საქმეებს, ისე ევლებოდა სახალხო თეატრს და სახალხო საქმეებს, ეს ადამიანი შეურაცყვეს და ორ სკამზე ჯდომის სურვილი გადააბრალეს. დანარჩენებს კი სულ ლარ მოერიდნენ—ფეოდალების მორჩილ ყმებათ გამოიყვანეს. ფეოდალიზმი ხომ ყოველ ფეხის გადადგმაზე აგონდებათ ს.-დემოკრატებს. ქართული თეატრის შენობა თავად-აზნაურობას ეკუთვნის. აქედან გამომდინარეობს შემდეგი. დრამატიული საზოგადოების გამგეობა ფეოდალურ ინსტრუქციების ბიურო. ეს განსაკუთრებულად იქედან სჩანს, რომ ამ „ბიურომ" სახალხო სახლში წარმოდგენების გასამართავი „დღეები" დამოუკიდებელ წრეს მისცა და არა სახალხო უნივერსიტეტთან არსებულ, ხოლო ან დაობლებულ სექციას. მაგრამ საცა ფეოდალიზმს ინახავენ ჩვენს კაპიტალისტურ ხანაში, იქ არ შეიძ-

*) იხ. „დროება" N 60.

ლება რომ ბურჟუაზია დასტოვონ უყურადღებოდ. საქმე იმაშია, რომ იგივე საკითხი „დღეების“ განაწილების შესახებ ტფილისის ქალაქის გამგეობასაც უნდა გადაესინჯა. ამ გამგეობამაც წრეს მიუსაჯა „დღეები“. აქედან აშკარაა წრის კავშირი და ნათესაობა ბურჟუაზიულ წრეებთან. ამრიგად აღმოჩნდნენ ნ. ელიავა, მარია დემურია, გ. ლასხიშვილი და სხვანი ჯერ ფეოდალების ყმებათ, მერე კი უტყუარ მსახურებათ ლიპიან ბურჟუებისა.

და რომ ეს ასეა, ამის დასამტკიცებლად გაზეთ „მომავალში“ ნოე ჟორდანიის შორეულ ქვეყნიდან მოწერილ კერძო წერილის ერთი ადგილიც დასტამბეს. ქართველ სოციალ-დემოკრატიის დალაი-ლამა იწერებოდა—რეაქცია იმის ცდაშია დღეს, რომ მუშებს მოპოვებული პოზიციები უკანვე წაართვას. სახალხო თეატრში მომხდარი ამბავიც ამ ხასიათისაა. ჩვენებურ რეაქციას მუშების ჩამოშორება ჰსურს სახალხო თეატრის საქმიდან და ამითი აიხსნება წრის დაარსება და უნივერსიტეტთან კავშირის გაწყვეტაო. და რაკი ბ-ნმა ნოემ ბძანა ეს, უცილობელ ფაქტად გახდა ის გარემოება, რომ წრის მომხრენი და სულის ჩამდგმელნი, ე. ი. არტისტების დიდი უმრავლესობა, რომელნიც უსასყიდლოთ ემსახურება სახალხო საქმეს, რეაქციის პირმშო შვილები არიან და მუშების წინაალმდეგ რეაქციის გასაძლიერებლად მუშაობენო.

დაუჯერებელი საქმეა სალის გონებით, რომ შეხედოთ ყველა ამას. მაგრამ დაწერილს ვერაფრით ვერ ამოშლით და სწორეთ ყოველივე ეს იბეჭდებოდა ს.-დემოკრატიულ გაზეთებში. ნამდვილად კი რა მოხდა ისეთი, რომ ამ განგაშის ატეხა იყო საჭირო? საიმისო არაფერი. სახალხო საქმეში, დღევანდელ პირობებში, თავი და თავი თვით საქმეა და არა ის, ვის დროშის ქვეშ არის იგი მოწყობილი. თუ სახალხო თეატრი აწვდის ხალხს ესტეტიურის მხრივ დამაკმაყოფილებელ და გონების მხრივ სასარგებლო წარმოდგენებს, ეს თეატრი თავის დანიშნულებას და მოვალეობას ასრულებს. რა თქმა უნდა, ძალიან სასურველია, რომ ყოველი სახალხო საქმე და თეატრის საქმეც მათ შორის სახალხო უნივერსიტეტის ფარგლებში იყოს მოწყობილი. მაგრამ როდესაც ეს არა ხერხდება, უნივერსიტეტის გამგეობის უვარგისობის თუ სხვა მიზეზების გამო, ლაფში არ უნდა ამოსვაროთ უანგარო მუშაკნი, რომელნიც ხალხისთვის სასარგებლო საქმეს უნივერსიტეტის გარეშე აწყობენ და აწარმოვებენ. ჩვენში კი სწორეთ ეს მოხდა. განსაზღვრული თეორიაც კი წამოაყენეს იმის დასამტკიცებლად, რომ „წრის“ მომხრენი ხალხს ღალატობენ. სახალხო თეატრის თავი და თავი დამახასიათებელი თვისება ის არისო, რომ თეატრის გამგეობაში თვით ხალხი უნდა იღებდეს მონაწილეობასაო. ჩვენ კი გვგონია, რომ თავი და თავი ის არის, რომ თეატრში ხალხი დაიარებოდეს და ამ ხალხს თეატრი ესთეტიურ გემოვნებას უღვიძებდეს. ეს პირველი პირობაა თეატრის სარგებლობისა. და თუ ამასთან ხერხდება ისიც, რომ თეატრს თვით მუშები გაუძღვებიან, ძალიან კეთილი. ხოლო თუ სხვა და სხვა მიზეზებისა გამო (და მთავარი მიზეზი დღევანდელი სოციალური წყობილებაა) ხალხის გამგეობა ვერ ხორციელდება, ამის გულისთვის ხალხმა თეატრს არ უნდა მიაფურთხოს და გულწრფელ მუშაკთ დაუმსახურებლივ არ უნდა შეურაცხყოს. ჩვენში კი მიაყენეს ამგვარი შეურაცხყოფა. ამ საქმეში კი, ობიექტიურად რომ შევხედოთ გარემოებას, სრული შეთანხმება შეიძლება ჩვენი ქვეყნის ყველა დემოკრატიულ ელემენტებისა.

ავიღოთ მეორე მაგალითი. მოიგონეთ წ.-კ. საზოგადოების გარშემო ატეხილი აურ-ზაური. ჩვენ აქ არ შევდივართ საზოგადოების გამგეობის მოქმედების დაფასებაში. გავითვალისწინოთ მხოლოდ ერთი საკითხი—საწევრო გადასახადის დაკლების შესახებ. ამისი წინააღმდეგი პრინციპიალურად არავინ იყო, არც ჩვენი ახლო მეგობრები, გამგეობის წევრები, არც დანარჩენი ნაწილი გამგეობისა. დემოკრატიზაცია საზოგადოებისა ყველას მიაჩნდა სასურველ საქმედ. მაგრამ, დღევანდელ პოლიტიკურ ვითარების გამო, ეს დემოკრატიზაცია შეუძლებელია, ამიტომ საწევრო ფულის დაკლებაც მოუხერხებელია.

და გამაფრთხილებლების მოლოდინი სავსებით გამართლდა. ეხლა ხანს გამოიცა ცირკულიარი, რომლის ძალითაც გუბერნატორებს ეძლევათ უფლება დახურონ ყოველი კულტურულ-ნაციონალური ხასიათის დაწესებულება, თუ რომ ეს დაწესებულება რუსეთის სახელმწიფოებრივობის მთლიანობისათვის საშიშო გამოდგება. მოდით და დაუმტკიცეთ ცირკულიარის ავტორებს, რომ წ.-კ. საზოგადოებას პოლიტიკასთან არავითარი კავშირი არ აქვს. საფრთხე აშკარაა და სწორეთ ეს საფრთხე ჰქონდათ მხედველობაში იმათ, ვინც დღევანდელ პირობებში წინაალმდეგი იყო საზოგადოების ფართო დემოკრატიზაციისა. მაგრამ ს.-დემოკრატებს აქაც ხალხის მტრები ელანდებათ. აქაც პათეტიური ლაპარაკია იმის გამო, რომ ხალხს გზას უკრავენ, რომ ბურჟუაზიას „ამბოხებულ ზღვისა“ ეშინიან და სხვა ამ ხასიათის ზიზღები. „დროებამ“ აუხსნა მოპირდაპირეთ საქმის გარემოება და ისიც მოიგონა, რომ დემოკრატიზაციის მომხრე „ცნობილ ფურცელიც“ იყო, რომ წინანდელ გამგეობებში ბევრს ემზადებოდნენ საზოგადოების რეორგანიზაციისათვის, რომ ეს რეორგანიზაცია ფედერატიულ პრინციპზე უნდა დაფუძნებულიყო, მაგრამ გარემოებამ საქმეს ხელი ვერ შეუწყო და დღემდე საქმე განუხორციელებელი დარჩაო. „ახალმა სხივმა“, რა თქმა უნდა, იუკადრისა „დროების“ განმარტება. ცირკულიარი ეხლა გამოვიდა და „სიკვდილის ცელს“ ცირკულიარის გამოსვლამდენაც ატრიალებდითო. მოდით და ებაასეთ ამისთანა ბრძენებს! თითქოს ცირკულიარის გამოსვლამდე არა სჩანდა და არ ისახებოდა რეაქციის პოლიტიკა, თითქოს იმის გასაგებად, თუ რამდენად მჭრელი და გალესილია ხმალი, თავი უნდა მიუშვიროთ მას და როდესაც თავს გაგაგდებინებენ, მოწმენი ჩასწერენ, ხმალი მართლაც მჭრელი იყოვო. მაგრამ ყველა ამაში საყურადღებო ის არის, რომ იმ ხანებში თვით „ახალ სხივში“ დაიბეჭდა წერილი ვინმე ბ-ნ წინწკალისა, რომელიც იმასვე ამბობდა, რასაც „დროება“—დემოკრატიზაცია საჭიროა, ხოლო საზოგადოების არსებობისათვის საშიშოაო. ეს წერილი დაბეჭდეს თავიანთ გაზეთში, შენიშვნაც არ გაუკეთეს, ხმაც არ გასცეს. „დროებაზე“ კი იყარეს ჯავრი—აი, თქვე ასეთებო და ისეთებოვო. რა არის ყოველივე ეს თუ არ მამლაყინწური თამაშობა, თავმოსაბეზრებელი ყოყოჩობა, რომელსაც არც ხუმრობის ხასიათი აქვს, არც სერიოზულ კამათის გარეგნობა. ვიმეორებ, აქაც ჩვენს შორის არავითარი პრინციპიალური განსხვავება არ არის. ხვალვე მოვაწერ ხელს ჩვენს მოპირდაპირეთა მოთხოვნათა სიას. ხოლო მათაც იქონიონ გაბედულება და „ჰო“ სთქვან იქ, სადაც „ჰო“ არის სათქმელი.

მაგრამ ეს ჩემ მხრივ გადამეტებული მოთხოვნაა. რა ნაირად გინდათ, რომ ჩვენი პატივი ჰქონდეთ, როდესაც ყველა ჩვენს ცოდვებთან ერთად (ფეოდალობა, ბურჟუაზობა, ხალხის მოტყუება და სხვა ამ ხასიათის ავაზაკობა) ამ მოკლე ხანში აღმოაჩინეს კიდევ ერთი ახალი ჩვენი სისაძაგლე: თურმე ნუ იტყვით, ყველა ქართული გაზეთები გარდა „ახალ სხივისა“ ბურჟუაზიის მიერ (რომლის, ნეტავი?) მოსყიდულები ყოფილან. დიაღ, ამ ბრალდებასაც ვეღირსეთ. მართალია, „ახ. სხივი“ „დროებას“ არ ასახელებს, მაგრამ რად გინდათ დასახელება, როდესაც პირდაპირ ამბობს, რომ ბანკები განცხადებების სახით ქრთამს აძლევენ პრესსას, ჩვენი მხარე გეჭიროსო. განცხადებებს „დროებაც“ ჰბეჭდავს, მაშასადამე, „დროებაც“ მოსყიდულია.

რა უნდა უთხრათ ამ გვარ მოპირდაპირეს? თავი იმართლოთ? ეს ხომ დამცირებაა თავის გამართლება უსინიდისობის წინაშე! თეატრის თუ წ.-კ. საზოგადოების საკითხის განმარტების დროს კიდევ შეიძლება ლაპარაკი აზრის სხვადასხვაობაზე, მაგრამ აქ, ამ საქმეში, ყოველ პატიოსან ქართველ მწერალს, განურჩევლად მიმართულებისა, ერთი აზრი უნდა ჰქონდეს. ის აზრი, რომ ქართულ პრესაში ჯერ არ ყოფილა მაგალითი მექრთამეობისა და მოსყიდვისა. ადვილად შესაძლებელია, რომ ეს შედეგია ჩვენი ცხოვრების პირობებისა—კაპიტალიზმის განუვითარებლობისა, ბურჟუაზიის უძლურებისა და სხვა. ხოლო უცილობელ ფაქტად უნდა იყოს აღიარებული ის ფაქტი, რომ ქართულ გაზეთების მიმართულებანი არავითარ „სუბსიდიების“ ზედგავლენით არ ვითარდებიან და არ იკაფავენ გზას. უნდა იყოს აღიარებული ისიც, რომ ჩვენს მწერლებს ძალას არავინ ატანს, თეთრი გააშავე და შავი გაათეთრეო. მართალია, ერთი „მწერლის“ მარცხი ყველას ახსოვს, ყველამ იცის, რომ ბ. მიმინომ თავისი სინდისი თუმნად მიჰყიდა ბ-ნ ხაჩატუროვს. მაგრამ ეს მოსყიდული „ჟურნალისტი“ ჩვენი მოპირდაპირეების წრეებთან იყო დაახლოვებული და მისი საქციელი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ გვეხება. ხოლო ისიც უნდა დავუმატო, რომ ერთი ადამიანის მარცხის გამო ს.-დემოკრატიული პრესა პასუხის მგებელი ვერ გახდება. და იმან მას არც ვდებთ ბრალს. მით უმეტეს, რომ ზოგიერთმა ცნობილმა თანამშრომელმა მიმინოს გაზეთისა (მაგ. გომართელი) იმ წამსვე ხელი აიღეს ამ თანამშრომლობაზე, როგორც კი გაიგეს ეს სამწუხარო ამბავი.

მე აქ ყიფიან-ნაგუროსკის საქმეს არ ვეხები. კავკასიის რუსული პრესსა, როგორც ვსთქვი, უნდა იყოს გამოყოფილი ჩვენს სჯა-ბაასიდან, რადგან მე ვეხები ქართულ საქმეებს და ქართულ ლიტერატურას. აქ კი სინამდვილე სრულიად არა ჰგავს იმას, რომელსაც გვიხატავს „ახალი სხივი“. ამ გაზეთის მიერ გადაშლილი სანახავი ამგვარია. კაპიტალიზმი უმწვერვალესს ხარისხამდეა განვითარებული. მაძღარი და სხვილი ბურჟუაზია თავის ღონის გასაძლიერებლად პრესაში ეძებს თანაგრძნობას. მდიდრულ რესტორანებში (ჩვენში ალბად „ტილიპუჩურაში“) სანადიმოდ იწვევს გავლენიან გაზეთების თანამშრომლებს. გავრცელებულ რედაქციების სახელზე „ლიონის კრედიტში“ ნახევარ მილიონ ფრანკს ფულსა სდებს. სწერენ მწერლები და თავი კი შამპანიურით უბრუვით. სწერენ წერილებს, აქებენ და ადიდებენ მოგებიან საქმეს, აძაგებენ იმათ, ვისთანაც ფინანსიური კავშირი არა აქვთ. და ამ გახრწნილების მორევში სცხოვრობს მკითხველი საზოგადოება და იზხამება დაქრთამულ ბეჭდვითი სიტყვის გავლენით.

დიაღ, ამ სურათს გვაყურებინებენ თვალწინ. თავს კი არავინ იტკიებს იმის შესწავლაზე, რა გვარ რეალურ პირობებში იბრუნებს სულს და არსებობს ქართული ჟურნალ-გაზეთობა. ჩვენს ცხოვრებას თვალებს არიდებენ და საკმარისი იყო „პრესის სინდიკატის“ საქმის გამოაშკარავება, რომ სინამდვილის გრძნობა სრულიად დახშულიყო სასტიკ „ცენზორების“ გონებაში. ევროპიულ ბურჟუაზიული წყობილება და ზნე-ჩვეულება სავსებით გადმოიწერა ჩვენს ქვეყანაში და ჩვენ ყველანი, გარდა „სხივილებისა“ ამ წყობილების და ზნე-ჩვეულების მსხვერპლად შევიქენით. ვაი ჩვენ და ვაშა უმწიკვლო გმირებს, რომელთაც ძალა შესწევთ ბოროტების მხილებისა!

არჩილ ჯორჯაძე.

## დღიური

### ზოგი ჭირი მარგებელია.

დიახ! ზოგი ჭირი მარგებელია,—ეს ერთი იმ ნუგეშის მცემელ სიტყვათაგანია, რომელიც ხშირად უნდა მოიგონოს ჩვენისთანა ზნეობრივად და სულიერად გალატაკებულმა ერმა. თუ ბედმა სიხარული არ გვარგუნა გამაცხოველებლად, თუ ბედნიერება არ მოგვეპოვება ასამაღლებლად, თუ ალტაცება გამამხნევებელი და წამახალისებელი გაჰქრა ჩვენთვის, იმით მაინც უნდა დავკმაყოფილდეთ, რომ უბედურება რამე დაგვატყდება თავზე, გამოგვაფხიზლებს და ცოტათი მაინც ამოძრავდებით.

საზოგადოება არ იღუპება ბრძოლის ველზე, როცა მოქმედებს მთელი მისი არსება. უდიდეს განსაცდელში იგი მაშინაა, როცა ერთნაირად დაშორებულია ჭირსაც და ლხინსაც, ბედიც არ უღიმის და არც უბედურია იმდენად, რომ აღშფოთდეს, გამწარდეს და თავგანწირულად შეებრძოლოს მოზღვავებულ უბედურებას. დამღუპველია იმგვარი მდგომარეობა, როდესაც ადამიანი არც მაძღარია, არც მშიერი, არც ავადაა და არც მთელადაა, არც კმაყოფილია და არც უკმაყოფილო, განიცდის ერთფეროვნებას, რომელიც თანდათან აუძლურებს, აზარმაცებს, უსპობს მოქმედების სურვილს, მიჰყავს იქამდის, რომ ადამიანს ეზიზღება ყოველგვარი ცვლილება და თანახმაა ყველაფერი დაიქცეს, ოღონდ კი ნუ გასხვაფერდება.

ასეთს მდგომარეობას მშვენიერად ახასიათებს შექსპირი როზენკრანცისა და გილდენსტერნის შემწეობით. როცა ჰამლეტი ეკითხება—როგორა ხართ, როზენკრანცი უპასუხებს: გახლავართ ისე, როგორც შეეფერება დედამიწის უმნიშვნელო შვილებს. და გილდენსტერნი: ბედნიერნი ვართ იმით, რომ მეტის მეტად ბედნიერნი არა ვართ და ბედს მაღლა ქოჩრის წვერზეთ არ [illegible]. ჰამლეტი [illegible] კვლავ ჰკითხავს: არც ხომ იმას ფეხქვეშა ხართ მოქცეული? გილდენსტერნი: არა, ბატონო. ჰამლეტი: მაშ გეტყობათ, სარტყელთან იქნებით, საცა უფრო მოწყალების გამცემის ალაგია. გილდენსტერნ: დიახ, ბატონო, მისი წყალობა არ გვაკლია.

როზენკრანცსა და გილდენსტერნს არ აკლიათ წყალობა, რომლითაც აჯილდოვებს ბატონი მონას და ამით სრულიად ბედნიერები არიან, როგორც ეს შეჰფერის მათ მონურ ბუნებას. მაგრამ მონას ავიწყდება, რომ შემთხვევითია მთელი მისი არსებობა და სულ ადვილად შეიძლება დაიღუპოს ტრაგიკულად ასე, როგორც დაიღუპნენ შექსპირის რაინდები. მონობის თვისება არაა, რომ ათახსირებს ადამიანს არა მარტო ზნეობრივად, გონებასაც უკარგავს, ყურთა სმენასაც ართმევს და თვალებს უბრმავებს: შიში აჩვევს მორჩილებას, მორჩილება—უმოქმედებას და ყოველ ორგანოს დაჩლუნგებას.

იყო დრო და დრო ეს იყო ხანგრძლივი, როცა ჩვენს მონად ქცეულს საზოგადოებას ბედნიერად მიაჩნდა თავისი თავი მით, რომ ბედს არც მაღლა ქოჩრის წვერზე აჯდა და არც მის ფეხ-ქვეშ იყო მოქცეული და წყალობაც არ აკლდა, წყალობა, რომელიც გამოიხატებოდა „ერთგულების მონის“ სახელის დამსახურებაში. ქვეყანა ჩვენი არ იყო განადგურებული, გადამწვარი, გაძარცული, ქალაქები ჩვენი არავის დაუნგრევია, ეკკლესიები არ დაუქცევიათ და ზარები ხარბაზნებად არ გადაუდუღებიათ, არ აუკრძალავთ ქრისტეს ხსენება და აღდგომის კვერცხსავით არ შეუღებავთ კათალიკოსის თავი, მტკვრის ხიდზე არ იდგა ჯალათი და თავის ეროვნების არ უარმყოფელს არ გადაისვრიდა უფსკრულში, ჩვენს დებსა და ძმებს ხელ-ფეხ შეკრულებს ცემითა და გვემით არ მირეკდენ უცხო მხარეს, სისხლით არ შეღებილა მდინარენი ჩვენი და გვამებით არ მოუფარავთ მწვანე მინდვრები; არა ვყოფილვართ მშიერნი, არა ვყოფილვართ შიშველნი, არა ვტიროდით, არ გაისმოდა გოდება და ყვედრება ჩვენი,—მაგრამ ვიყავით ადამიანები? ადამიანები ღირსებით აღჭურვილნი, თავისუფლების მოტრფიალენი, თავის პიროვნების დამცველნი?..

ყველაფერი დავკარგეთ — ნამუსი, პატიოსნება, თავმოყვარეობა შეუმჩნევლად, შეუგნებლად, შეურყევლად და თან და თან გადავიქეცით მონებად, მონებად არა გარეგნობით, არამედ სულით, გულით, სისხლით! არა ძალადობით, არამედ ნებით! შევითვისეთ, შევისისხლხორცეთ ჩვენი მდგომარეობა მონური კმაყოფილებისა და დავადექით გზას უმოქმედობისა და უძრაობისას.

განა ამგვარ საზოგადოებისათვის ჭირი მარგებელი არ არის? თუ არა ჭირმა, მაშ რამ გამოაღვიძოს მიძინებული საზოგადოება, რამ შეაგნებინოს თავისი ვინაობა, რამ დაუმტკიცოს ერს, რომ მასაც უფლება აქვს თვით-არსებობისა და თვით-მოქმედებისა? ჩვენი გამოფხიზლება მტკიცე და ღრმა იმ დღიდან დაიწყო, როცა აიკლეს და ააწიოკეს ჩვენი ქალაქ-სოფლები და ის მრავალგვარი ალვირ-აშვებული ძალმომრეობა, რომელიც გაბატონებულია ჩვენს წინაალმდეგ, ბევრს რასმე დაგვასწავლის, გამოგვიყვანს გარკვეულს გზაზე. ქართველს ყველგან კარს უკეტავენ, არავითარ დაწესებულებებში საქმეს არ აძლევენ, რაიც გამოუთქმელ უნუგეშო მდგომარეობაში აგდებს ახალშენის დიდს ნაწილს,—სწერენ დღეს ისინი, რომლებიც წინად თითქმის სრულიად უარყოფდნენ თავიანთ ეროვნებას: სხვამ რომ ჩაიდინოს რაიმე უმსგავსობა, ქართველს აბრალებენ, სხვამ რომ ქვეყანა დააქციოს არაფერია, ქართველმა რომ მცირე დანაშაულობაც ჩაიდინოს, ქვეყნის დაქცევაა.

ასეთია დღეს ბედი შორს გადახვეწილი ქართველებისა და რამდენი სევდა, სულიერი ტანჯვაა გამოხატული ამ უბრალო ამბავში! შენთვის არ არის სამართალი იმიტომ, რომ ქართველი ხარ, დამნაშავე ხარ იმიტომ, რომ ქართველად დაბადებულხარ! და განა ამნაირ ყოფაში ვართ მარტო უცხო მხარეს გადახვეწილები? ასე დევნილნი და ჩაგრულნი არა ვართ აქვე ჩვენს მიწა-წყალზე, ჩვენს მამულ-დედულში? ქართველებს ერეკებიან ყოველ ადგილიდან, ქართველის ენა ყველგან ძაღლის ენაა, ქართველის სარწმუნოება ფეხით გათელილი, ქართველის ისტორია და კულტურა სამასხაროდ აგდებული, ქართველის ეროვნება გმობილი, ქართველობა—დანაშაულობა! გარეშენი ვართ საკუთარ სახლში, მათხოვრებსავით ითხოულობთ საკუთარს მიწას, წყალობასავით ვითხოვთ, რომ ნება მოგვცეთ ვილოცოთ ჩვენს საკუთარის ეკლესიებში!.. და ხმა ჩვენი არის ხმა მღაღადებელისად უდაბნოსა შინა; ჩვენ არ გვაღირსებენ ჩვენი გამართულ ნადიმის ნასუფრალსაც კი!

არა, ზოგი ჭირი მარგებელია! ჭეშმარიტად, ნუგეშის მცემელია!

სიტყვა.

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. ტელ. სააგენტ.)

### მიწად-მოქმედების სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა.

16 მარტის საღამოზე სათათბიროში განიხილა ხარჯთ-აღრიცხვა მიწადმოქმედების მთავარ სამმართველოს მხოლოდ ერთი განყოფილებისა—რუსების გადამსახლებელ გამგეობისა. ხარჯთ-აღრიცხვით რუსის გლეხების გადასასახლებლად ციმბირსა, კავკასიასა და სხვაგან გადადებული ყოფილა დიდძალი ფული—25,277,077 მანეთი. საბიუჯეტო კომისიას ეს თანხა შეუმცირებია მხოლოდ 118,233 მანეთით. გადასახლების გამგეობას აზრადა აქვს თურმე, მოაწყოს 21 სამეცნიერო ექსპედიცია და გამოიკვლიოს ციმბირში 4 1/2 მილიონი დესეტინა ადგილი, თუ რამდენად გამოსადეგია იგი რუსის გლეხების დასასახლებლად.

**მიწ.-მოქმედების მთავარ-სამმართველოს უფროსმა** სთქვა, რომ მთავრობა დიდ მნიშვნელობას აძლევს გადასახლების საქმეს, ამიტომ ძალასა და ფულს არა ზოგავს ამისთვისაო. აღნიშნა ამასთან ზოგიერთი განზრახვა მთავრობისა.

**თავ. გოლიცინმა**, პროგრესისტმა, დაიწუნა გადასახლების ორგანიზაცია. მისის აზრით, ამ საქმეს მთავრობის მოხელენი კი არა, ერობა უნდა განაგებდეს, ამიტომ სურვილი გამოსთქვა, ციმბირში რაც შეიძლება მალე შემოღებულ იქმნან საერობო დაწესებულებანიო. მანვე სთქვა, საზოგადოებას მეტი თვითმოქმედების უფლება უნდა მიეცესო.

**ხასმამედოვი**, მაჰმადიანთა ფრაქციის წევრი, შეეხო რუსების გადმოსახლებას კავკასიაში. ორატორმა სთქვა: მთავრობამ ჯერ უნდა მოაგვაროს კავკასიაში ურთი-ერთობა გლეხებსა და მემამულეებს შორის, რომელსაც (ურთი-ერთობას) დღესაც ბატონ-ყმური ხასიათი აქვს, მოაწყოს თვით კავკასიის მცხოვრებნი და მერე იზრუნოს რუსების დასახლებაზე.

**მღვ. ვოლკოვის** (მემარჯვენე), აზრით, გადასახლებას ერთი აზრი უნდა ჰქონდეს: რაც შეიძლება მალე გაძლიერებულ იქმნას რუსის ელემენტი განაპირა ქვეყნებში, რომ სახელმწიფო ამ ელემენტებს დაემყაროს.

**ვოლოშნიკოვმა**, სოც.-დემოკრატმა, განაცხადა: მთავრობა ასახლებს ღარიბ და უკმაყოფილო გლეხებს, რათა ამით 30,000 მემამულის და მიწის ინტერესები დაიცვას. მთავრობა ავიწროვებს და მიწას ართმევს ციმბირის ძველ მკვიდრ რუსებს და არა რუსებს. გადასახლების საქმეში მთავრობამ ნაციონალისტური ტენდენცია შეიტანა სახელმწიფო სათათბიროსა და საბჭოს დახმარებით. განსაკუთრებით ამ ტენდენციამ თავი იჩინა კავკასიაში, სადაც ადგილობრივ მკვიდრთ ადგილებს ართმევს და ამიტომ ხალხს ერთმანეთს ამტერებსო.

**სუჩინსკის** (ნაციონალისტი) აზრით-კი, პირიქით, მთავრობამ უნდა გააძლიეროს რუსების გადასახლება კავკასიაში, განსაკუთრებით შავი ზღვის ნაპირებში.

**ვოლკოვმა მეორემაც** თავის სიტყვაში ის აზრი გამოსთქვა, რაც ვოლოშნიკოვმა: მთავრობა გადაჭარბებულ მცხოვრებთ ასახლებს შიდა რუსეთიდან, რათა მოძრაობა აიცდინოს თავიდან. ამ საშუალებით უნდა მთავრობას აგრარულ საკითხის გადაჭრაო.

ილაპარაკეს სხვა ორატორებმაც. კამათი გადამსახლებელ გამგეობის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ არ დამთავრებულა და მეორე დღისთვის გადაიდო.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 მარტი.

### საზღვარ-გარედ.

**პარიზი.** სენატმა დაამტკიცა დეპუტატთა პალატის მიერ მიღებული კანონ-პროექტი კონგრეგაციის მამულების ლიკვიდატორთა ინსტიტუტის გაუქმების შესახებ.

**ბილბაო.** გაიფიცნენ ნავთსადგურის მუშები. წესიერება არ დარღვეულა,

[illegible] ნის მუშებმა უარჰყვეს პირობა, რომელიც მათ ოგაიოს, ინდიანის და დასავლეთ პენსილვანიის სახლისპატრონებმა წარუდგინეს. მუშათა მეთაურების სიტყვით, მუშებში თანდათან ძლიერდება გაფიცვის მომხრეთა რიცხვი.

**სალონიკი.** მაკედონიის ბერძნებმა სტამბოლში დეპუტატთა პალატის და სენატის თავმჯდომარეებს დეპეშები გაუგზავნეს. ბერძნები პროტესტს აცხადებენ სადაო ეკლესიების შესახებ კანონ-პროექტის წინაალმდეგ და თხოულობენ, რომ კანონ-პროექტი არ დაამტკიცონ.

იპეკის ოლქში ალბანელები გადასახადებს არ იხდიან. მიტროვიც იპეკის გზა ალბანელების ხელშია. ადმინისტრაცია ჯარის მიშველებას თხოულობს. ალბანელებმა დაიჭირეს 70 ახლად ჯარში გაწვეული სერბი და ნებას არ აძლევენ ჯარში გამოცხადდნენ. მალესიაში ერთ თემს განზრახვა აქვს დიბრს დაეცეს. დიბრის დასაცველად რამდენიმე ბატალიონი ჩამოვიდა. გუსკოპის გლეხებს და ალბანელებს შეტაკება მოუვიდათ. მიზეზი—სათიბი ადგილებია, რომლებზედაც ალბანელებს და გლეხებს დიდი ხანია დავა აქვთ.

**სტამბოლი.** 31 მარტს ელიან სერბიის მეფე პეტრეს. მეფე პეტრე სტამბოლში ხუთი დღე დარჩება და შემდეგ ათონში წავა, საიდანაც სალონიკის გზით ბელგრადში წავა.

რადგანაც არაბეთის თემებს შეტაკება აქვთ, ამის გამო ადმინისტრაცია ჯარის მიშველებას თხოულობს. ჯედში ხოლერით ავად გახდა ერთი კაცი და რამდენიმე ხნის შემდეგ გარდაიცვალა.

**პრაგა.** ჩეხის კათოლიკეთა სახალხო პარტიის კონგრესმა გადასწყვიტა მიიღოს ქრისტიან სოციალისტთა პარტიის პროგრამმა და სახელწოდება.

**ბუდაპეშტი.** გამოირკვა, რომ ეკერიტოში დაღუპულა 320 კაცი.

**ბილბაო** ნავთსადგურის გაფიცული მუშები მუშაობას შეუდგნენ.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატამ [მი]იღო საფრანგეთ-ამერიკის [illegible] ხელშეკრულება.

**ვენეცია.** ტარნოვსკაიას საქმე. [ს]ასამართლოში მოსამსახურე მონაზონის სიტყვით, ტარნოვსკაია გულკეთილი ქალია და ქველმოქმედება უყვარდა. დამცველმა განაცხადა: 23 მოწმიდან მხოლოდ სამი გამოცხადდა. რადგან ზოგიერთ მოწმეების ჩვენებას საქმისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ საჭიროა, რომ იმ მოწმეებს, რომლებიც არ გამოცხადდნენ, განსაკუთრებულმა კომისიებმა ჩამოართვან ჩვენებაო. [პ]ოლიციელმა, რომელმაც სადგურ [პლატ]ფორმაზე ნაუმოვი დააპატიმრა, [თ]ქვა: დაპატიმრების დროს ნაუმოვი ისე იქცეოდა, თითქო საქმე მას არ შეეხებოდა და თითქმის არაფერს გრძნობდა, შემდეგ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა და განუწყვეტლივ [ე]მბორებოდა პატარა ოქროს ჯვარსაო. მოსკოვიდან ჩამოსულ, სერპუხოვის სამაზრო ერობის თავმჯდომარის სიტყვით, პრილუკოვი ტარნოვსკაიასთან დაახლოვების შემდეგ, [ს]ულ ერთიანად გამოიცვალა, ...ერთ [დ]როს თავის მოკვლაც კი უნდოდაო. პრილუკოვმა ტარნოვსკაიას[თან] [დ]აახლოვების შემდეგ, ჩემზედ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, [-]თქვა სერპუხოვის სამაზრო ერობის თავმჯდომარემ, თითქოს იგი სხვის [გავ]ლენის ქვეშ იყო და თავისით არაფერს აკეთებდაო.

**სოფია.** ბოლგარიის სააგენტო [გვა]უწყებს: 14 მარტს, ნაშუადღევის [ ] საათზედ, კიზილ-აგარის ახლო [ოს]მალეთის სალდათებმა სროლა [ატე]ხეს ბოლგარიის ჯარის-კაცებს. [ს]როლამ საღამომდე გასტანა და [მე]ორე დილას განახლდა. ოსმალებს [ც]ხენოსანი და ქვეითი ჯარები მოე[შ]ველნენ. ჯერ გამორკვეული არ [ა]რის, რა ზარალი მოუვიდა ბოლგარიის ჯარს. ბოლგარიის ტერიტორიაზედ ერთი ოსმალეთის სალდათი მოჰკლეს. დაჭრილები უნდა [ი]ყვნენ. სამხედრო მინისტრმა ბრძანება გასცა, რომ სროლა დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ. ინციდენტის გამოსარკვევად შეიკრიბნენ ოსმალეთის და ბოლგარიის ოფიცრები.

## რ უ ს ე თ ი

**ვარშავა.** სენატორის კომისია ქალაქის ლომბარდის რევიზიას ამთავრებს. რევიზიამ ბევრი ბოროტმოქმედება აღმოაჩინა.

**დონის როსტოვი.** სადგურ ტიხორეცკაიას ახლო მატარებელში ყაზახთა ოფიცერმა მოჰკლა სააქციზო კონტროლიორი. ორი დღეა სთოვს. [ნ]ავთსადგურში მუშაობა თითქმის შესწყდა. 7 მაისს სასამართლო გაარჩევს 41 კაცის საქმეს. ბრალდებათ 1905 წელს ებრაელების აწიოკება.

**ოდესსა.** პოლიციამ დააპატიმრა [ყ]აჩაღთა ბრბოს მეთაური, პოლიკარპე შიკი. ბრალდება ცარცვა-გლეჯა და რამდენიმე კაცის მოკვლა.

**პეტერბურგი.** იწვის ბორმანის [შ]ოკოლადის ქარხანა.

**ასტრახანი.** გემები „არგო“ და „ისმაილი“ ერთმანეთს დაეჯახნენ. „ისმაილი“ ჩაიძირა. „ისმაილი“ დატვირთული იყო 65,000 ფუთი ნავთით და ეკუთვნოდა მუსა-ნაგიევს. „არგო“ დაზიანებულია. გემის [მ]ოსამსახურეები გადაარჩინეს.

**კიევი.** სამხრეთ-დასავლეთ რუსეთში თოვლი მოვიდა. ჰყინავს. [გ]ლეხებმა მინდორში მუშაობა შესწყვიტეს. ეშინიანთ, რომ ნათესი არ [გ]აფუჭდეს.

**პეტერბურგი.** ბორმანის ქარხანაში დაიწვა კაკაოს საწყობი და [ს]ახლის ზედა სართული. ზარალი [ ]0,000 მანეთს უდრის.

**სარატოვი.** სამხედრო სასამართლო შეუდგა 25 კაცის საქმის გარჩევას. ბრალდებათ სოციალ-დემოკრატების ორგანიზაციის წევრობა: [ა]მას გარდა, დამნაშავეთა უმრავლესობას აბრალებენ ცარცვა-გლეჯას.

**პეტერბურგი.** იმ განმარტებაში, რომელიც დამატებული აქვს ფინლანდიისათვის კანონთა გამოცემის პროექტს, მოყვანილია ისტორიული ცნობანი ფინლანდიაზე და აღნიშნულია, რომ იმპერატორ ალექსანდრე პირველსა და ფინლანდიის ერს შორის არავითარი ხელშეკრულობა არ იყო დადებული ბორგოს სეიმის დროს და შეუძლებელიც იყო რაიმე ხელშეკრულობა, ხოლო დამპყრობი თავის ნებით დაჰპირდა დაპყრობილ ერს დიდ უპირატესობის მიცემას; ეს იყო არა ხელშეკრულობის დადება, არამედ ხელმწიფის წყალობა და სულგრძელობა. ასეთივე სახელი აქვს ნაწილები ამ აქტს ფრიდრიხსჰამის სამშვიდობო ხელშეკრულობაშიაც, რომელმაც არავითარი საერთაშორისო მოვალეობა არ დააკისრა იმპერატორ ალექსანდრე პირველს ფინლანდიის უფლებისა და უპირატესობის ასასრულებლად. ის აზრი, ვითომ ფინლანდია ალექსანდრე პირველის ხელში გადასვლის შემდეგ გახდა რუსეთისაგან დამოუკიდებელ სახელმწიფოდაო, მეტად შემცდარი აზრია: არ არსებობს ისეთი აქტი, რომლითაც ფინლანდიას ეძლეოდეს ცალკე სახელმწიფოს ხარისხი. სხვა და სხვა მანიფესტებსა და გრამატებში რუსეთის იმპერატორები ფინლანდიას ჰპირდებოდნენ ხოლმე ფართე საოლქო ავტონომიის ბოძებას, ხოლო მათ არას დროს არ აღუთქვამთ ფინლანდიის საკუთარ სახელმწიფოს შექმნა, ფინლანდიის ავტონომია დაფუძნებულია რუსეთის ხელმწიფების კეთილს სურვილზე. ფინლანდია, ძირითად სახელმწიფო კანონების მეორე მუხლის თანახმად, შეადგენს ერთიან რუსეთის განუყოფელ ნაწილს. ზემონათქვამიდან ცხადად სჩანს, რომ ფინლანდიაში უზენაეს ხელმწიფობის უფლება ეკუთვნის რუსეთის უმაღლეს მთავრობას და ამის გამო ფინლანდიისა და რუსეთის დანარჩენ ნაწილებისთვის ყველა საერთო საკითხები უნდა გადასწყდეს რუსეთის კანონების თანახმად, ხოლო ფინლანდიის დაწესებულებათ უნდა ეკითხებოდეს მარტო ადგილობრივი საქმეები.

ყველა ზემონათქვამი თეორეტიულად ცხადია თავის თავად, მაგრამ დიდ ხანს დაბნელებული იყო საკანონმდებლო პრაქტიკით. თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში საერთო სახელმწიფო მნიშვნელობის კანონებს ფინლანდიისთვის გამოსცემდნენ ხოლმე როგორც საერთო საიმპერიო წესით, ისე ფინლანდიის ადგილობრივ კანონმდებლობის წესით ამიტომ ის აზრი, რომ პირველი წესი უნდა ბატონობდეს მეორეზე, არ განმტკიცდა პრაქტიკულად; ფინლანდიის ადგილობრივი კანონმდებლობა, მეტადრე სეიმების მოქმედების დაწესებიდან, არა ერთხელ შეიჭრა ისეთ დარგებში, რომლებიც ნორმალურ წესით უნდა ექვემდებარებოდნენ რუსეთის საზოგადო სახელმწიფო კანონებს.

პროექტის ძირითადი მუხლები ამნაირია: 1) ფინლიანდია წარმოადგენს ერთიან რუსეთის სახელმწიფოს განუყრელ ნაწილს და თავის შინაურ საქმეებისთვის აქვს მხოლოდ საოლქო თვით-მმართველობა, რომლის ძირითად საფუძვლებს და ფარგლებს განსაზღვრავს იმპერიის საზოგადო კანონმდებლობა; 2) სახელმწიფო ძირითად კანონებს ისეთისე სავალდებულო ძალა აქვთ ფინლანდიისთვის, როგორც რუსეთის სხვა ნაწილებისთვის; ფინლანდიისთვის გამოცემულ ცალკე ადგილობრივ ძირითად კანონებს ძალა აქვთ მხოლოდ მას შინაურ საქმეებისთვის; 3) ფინლიანდიის შინაგან საქმეებად ითვლებიან ისეთი საქმეები, რომლებიც სრულიად არ შეეხებიან იმპერიის სხვა ნაწილებს; ხოლო ფინლანდიის დანარჩენი საქმეები, შინაურ საქმეებს გარდა, უნდა სწყდებოდეს ამას იქით იმპერიის საზოგადო კანონმდებლობის მიერ დადგენილ წესით; ფინლანდიის სეიმის აზრს იმ საქმეებზე, რომლების შესახებაც შეეკითხებიან, ექნება მხოლოდ რჩევის მნიშვნელობა, 4) ფინლანდიის სარგებლობისთვის და მის საჭიროების უკეთესად გასაცნობად სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროში არჩეულ იქნებიან ფინლანდიის მცხოვრებთა წარმომადგენელნი; 5) საზოგადო წესით გამოცემული კანონები აუქმებენ და სცვლიან კანონებს, გამოცემულს ცალკე წესით. ფინლანდიისთვის საზოგადო წესით გამოცემულ კანონების განმარტების უფლება ეკუთვნის უმართებულეს სენატს.

ამ პროექტს აზრად აქვს უზრუნველჰყოს ფინლანდიაში რუსეთის უფლება და არსებითი ინტერესები; მაგრამ მას სულ არა აქვს მიზნად არც ფინლიანდიის შინაგან ავტონომიის დარღვევა, არც ფინების გადაგვარება, არც მათ კულტურის დაცემა. პროექტის ამნაირად ახსნა სწორე არაა და ამასთანავე ტენდენციონურიც. პროექტით განზრახული საზოგადო კანონმდებლობის საგნების შეცვლა წარმოადგენს მხოლოდ საკანონმდებლო პროგრამას, რომლის დამტკიცებას არ მოჰყვება ყველა დეტალის დაუყოვნებლივ განხორციელდება, უფრო ნაკლებ საფუძვლიანი იქნება მოსაზრება, ვითომ აზრად ჰქონდეთ, ფინლიანდიის კანონების მოსპობა და მათ ნაცვლად იმპერიის კანონების შემოღება. ფინლანდიის კანონმდებლობას მხოლოდ პრინციპიალურად ჩამოერთმევა პროექტში ჩამოთვლილ საქმეების განხილვის უფლება. ყველა რეფორმას ფინლანდიაში განახორციელებენ მათ საჭიროების დაკვალად, ფინლიანდიის სარგებლობა და წესი იმდენად იქნება დაცული, რამდენადაც ისინი არ ეწინააღმდეგებიან მთელ სახელმწიფოს ინტერესებსა და უფლებას.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

◆ **კახეთის რკინის გზა.** ბელგიის კაპიტალისტების სინდიკატის წარმომადგენელს [illegible], „კავკ.“ სიტყვით, ტფ. თავად-აზნაურთა წარმომადგენლებთან უკვე დაუდვია ხელ-შეკრულობა. ხელ-შეკრულობით კახეთის რკინის გზის გაყვანას კისრულობენ ბელგიელი კაპიტალისტები. რკინის გზის გაყვანას შეუდგებიან მაშინ, როდესაც თავად-აზნაურობა კონცესიას მიიღებს. რკინის გზა დაჯდება თორმეტი მილიონი მანეთი.

◆ **უვარგისი ფქვილი.** 17 მარტს პოლიციის მე-4 ნაწილის ბოქაულმა ექიმ შავეროვთან ერთად დაათვალიერა საბაკალეო და ფქვილის სავაჭრო სახლები. ექიმმა უვარგისად სცნო 30 ტომარა ფქვილი. დაათვალიერეს და შეამოწმეს აგრეთვე სავაჭრო სახლები მე-3, 1 და 10 საპოლიციო ნაწილებში. აქაც ბევრგან აღმოაჩინეს ცუდი ფქვილი. ვაჭრებს ოქმები შეუდგინეს და პასუხის გებაში მისცეს.

◆ **უვარგისი კარაქი.** როგორც ვწერდით, ამ ერთი თვის წინად ციმბირიდან ტფილისში ორი ვაგონი კარაქი მოიტანეს გასასაღებლად. სავაჭრო პოლიციის ზოგიერთ აგენტების მეოხებით გამოირკვა, რომ ეს კარაქი უვარგისი იყო. კარაქის გაყიდვა შეაჩერეს. ამ დღეებში ტომსკელმა ვაჭარმა ბარსუკოვმა ტფ. ქალაქის გამგეობას სთხოვა ნება მომეცით, რომ კარაქი უკან ტომსკშივე დავაბრუნოო. გამგეობამ დაადგინა, ნება დართოს ბარსუკოვს, კარაქის უკანვე წაიღოს იმ პირობით, თუ აზოვო-დონის ბანკის განყოფილება იკისრებს პასუხის გებას, რომ კარაქს ბარსუკოვი უსათუოდ ტომსკში წაიღებს. კარაქის გაგზავნას სადგურზე უნდა დაესწროს ქალაქის წარმომადგენელი. გამგეობამ დაადგინა აგრეთვე, შეატყობინოს ტომსკის პოლიცმეისტერს, რომ ვაჭარმა ბარსუკოვმა 2 ვაგონი უვარგისი კარაქი ტფილისიდან ისევ ტომსკში წამოიღოო.

◆ **უარი „ზაკავკაზიეს“.** როგორც გადმოგვცეს, ამას წინად „ზაკავკაზიეს“ რედაქტორს შუამდგომლობა აღუძრავს ტფ. სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოს წინაშე, რომ „ზაკავკაზიეს“ მისცემოდა თვეში 1000 მან. დეპუტატთა საკრებულომ უარი შეუთვალა.

◆ **ვერის სასაფლაო.** როგორც ვიცით, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია იმ ამბავმა, რომ ქალაქის გამგეობამ განიზრახა ვერის სასაფლაოს იჯარით აღება. ეგზარხოსს წინადადება მიუცია სასინოდო კანტორის პროკურორისთვის შეჰკრიბოს დაწვრილებით მასალა ამ სასაფლაოს შესახებ.

◆ **ტელეფონის გადაკეთება.** ქალაქის ტელეფონის გადაკეთებას ტფილისში ფოსტა-ტელეგრაფის უწყება ამავე გაზაფხულს შეუდგება. მავთულებს მიწის ქვეშ გაიყვანენ. ამ საქმისთვის გადადებულია 300,000 მან. როგორც გამოირკვა, ეს ფული საკმაო არ არის და ამიტომ ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას აზრადა აქვს დამატებით საჭირო 90,000 მან სთხოვოს ბელგიის უსახელო საზოგადოებას.

◆ **მკვლელობა.** 13 მარტს ტფილისის მცხოვრები ალექსა იმედაშვილი მივიდა თავის ნათესავ ქალ დარო იმედაშვილთან და უთხრა, მაჰმადიანთა დღესასწაულია და ბოტანიკურ ბაღისაკენ გავიაროთო. ქალიც დასთანხმებულა და ორივენი წასულან სასეირნოთ. გზაში ალექსა იმედაშვილს სიყვარული გამოუცხადებია ქალისათვის და უთხოვია ცოლად გაჰყოლოდა და ჯვარი დაეწერა, მაგრამ ქალს უარი ეთქვა, ნათესავი ხარ და მშობლები ნებას არ მოგვცემენო. რაკი უარი მიიღო ქალისაგან, ვაჟს დანა ამოეღო და დაეჭრა ქალი, რომელიც ყვირილით დაცემულიყო ძირს და მშველელს უძახდა. ვაჟი კი გაქცეულიყო, ეტლი მოეყვანა, ჩაესვა დაჭრილი და მიხეილის საავადმყოფოში წაეყვანა. დაჭრილი ქალი რამდენიმე ხნის შემდეგ გარდაიცვალა. ალექსა იმედაშვილი დააპატიმრეს.

◆ **საუნივერსიტეტო კომისია.** ამ დღეებში პეტერბურგიდან მოელიან კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ბ-ნ რუდოლფს. რუდოლფის ჩამოსვლისთანავე მოხდება სხდომა საუნივერსიტეტო კომისიისა.

◆ **ფ.-ტელეგრაფის ცენტრალური კანტორა.** კავკ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი ბ-ნი მუსელიუსი ამას წინად პეტერბურგს წავიდა ბ-ნ მუსელიუს უმაღლეს წრეებში აღუძრავს საკითხი ფულის გადადების შესახებ ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ცენტრალურ კანტორის სადგომის ასაშენებლად. ოლქის უფროს მოელიან ტფილისში 23 მარტს.

◆ **გასრესილი კაცი.** მიხეილისა და ნეკრასოვის ქუჩების კუთხეში ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ავტომობილისაგან გასრესილი კაცი აღმოჩნდა ღრმად მოხუცებული (80 წ.) სამსახურს გარეშე მყოფი პოდპოლკოვნიკი თავ. თეოდორე გიორგის ძე ნაკაშიძე.

◆ **კალიასთან ბრძოლა.** შაბათს, 20 მარტს, აგრონომოვი საკოვი კავკ. ნამესტნიკის საბჭოს მოხსენებას წარუდგენს და დაწვრილებით გააცნობს ანგარიშს კალიასთან მებრძოლ პარტიის მოქმედებისას 1909 წლის განმავლობაში. ამავე დღეს საბჭო განიხილავს აღრიცხვას ამა 1910 წლისათვის. წელს კალიასთან საბრძოლველად გადადებულია 37 ათასი მანეთი.

◆ ტფ. პოლიციამ 15 მარტს სალდათის მოედანსა და ვორონცოვის ქუჩაზე დააპატიმრა ნიკოლოზ მიხ. ბერძნიშვილი და გიორგი შერეშოვი, რომელნიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ ნება-დაურთველად დაბრუნებულან. ამავე დღეს პოლიციამ მე-2, 3 და 11 საპოლიციო ნაწილებში დააპატიმრა 22 უპასპორტო კაცი.

◆ 16 მარტს დააპატიმრეს სპარსეთის ქვეშევრდომი ავეტიქა შახნაზაროვი, რომელსაც გაჩხრეკის დროს რევოლვერი აღმოაჩნდა.

# ო ს მ ა ლ ე თ ი

**საუბარი მახმუდ-შევკეთ-ფაშასთან.**

„რ. სლოვოს“ კორესპონდენტს სტამბოლში უსაუბრნია ოსმალეთის სამხედრო მინისტრთან მახმუდ შევკეთ-ფაშასთან. კორესპონდენტი სწერს:

„უეჭველად ძლიერი შთაბეჭდილება ჩემზე სტამბოლში მოახდინა სამხედრო მინისტრმა მახმუდ-შევკეთ-ფაშამ. ჩემის აზრით, იგი წინდია ოსმალეთის მომავლისა. სანამ იგი ჯარის უფროსად იქნება, ოსმალეთში შეუძლებელია რეაქციონური კონტრ-რევოლიუცია. ჯარი აღმერთებს შევკეთ ფაშას. ყოველი ჯარის კაცი და არა თუ მარტო ჯარის-კაცი, მთელი სტამბოლის ხალხიც აღმერთებს, გმირად და იდეალად სთვლის მას. შევკეთ-ფაშამ სხვათა შორის შემდეგი მითხრა:

სამხედრო მინისტრებს საზოგადოდ მეტად ბევრი საქმე აქვთ, მაგრამ გარწმუნებთ, რომ არც ერთი სამხედრო მინისტრი არა მუშაობს ისე, როგორც მე. მთელ ჩვენ ჯარს თავით ფეხებამდე ვცვლით. ვახდენთ ადმინისტრატიულ და სამხედრო ცვლილებას. ვაწესებთ საყოველთაო სამხედრო ბეგარას, ამ სიტყვის სრულის აზრით. წინად ჯარში მსახურებდნენ მარტო ოსმალები, ეხლა იმსახურებენ ყველანი: მუსულმანები ქრისტიანები, ურიები. ჯარში ერთად ყოფნა ძლიერ შეუწყობს ხელს ოსმალეთის ნაირ-ნაირ ეროვნებათა დაახლოვებას; ყველანი შეიგნებენ, რომ მათ საერთო სამშობლო აქვთ, მეტსაც გეტყვით, რომ ხალხმა უკვე შეიგნო ესა. იმპერიის ყველა კუთხიდან სასიამოვნო ამბავი მოდის, რომ ქრისტიანები სულაც არ ერიდებიან სამხედრო სამსახურს...

— მაკედონიაშიაც სრულად მოაგროვეთ ახალი ჯარისკაცები.

— რასაკვირველია, მაკედონიის რადა? ჰო მართლა, მაკედონიის საკითხი! ხშირად ვკითხავ ხოლმე ჩემ თავს: როდის გაიგებენ ევროპის პოლიტიკოსები, რომ მაკედონიის საკითხი გადაწყვეტილია, რომ იქაურ ხალხს აღელვებენ და აქეზებენ გარედან. არ გეგონოთ, რომ ბოლგარებზე გამბობდე! არა ბოლგარებთან ჩვენ ადვილად მოვრიგდებით. არ აქ „ძაღლისთავი სულ სხვაგანა ჰმარხია“...

— სად არის დამარხული ძაღლის თავი?

— ხომ იცით, რომ ოსმალეთს ისე უყურებენ ყველანი, როგორც მომაკვდავ კაცს, რომელსაც დიდი გასაყოფი მამულები დარჩება. და აი ამისათვის ოსმალეთში შექმნეს ნაირ-ნაირი საკითხები, რომლების გადაწყვეტის დროს ჩვენ ადგილებს ჩამოგვათლიდნენ ხოლმე. შარშანწინ, როგორც იცით, ავსტრიამ ბოსნია-ჰერცოგოვინა წაგვართვა. ზოგს ჰგონია, რომ ეს არა კმარა, ოსმალეთს კიდევ უნდა ჩამოეცალოს ადგილებიო. მაგრამ კმარა. ერთ ჩიჩქნა ადგილს აღარავის დაუთმობთ. ჩვენ არავის არას ვტაცებთ და მაგრამ არც სხვას მივცემთ ნებას, რომ ისე მოგვექცეს, როგორც აქამდე გვექცეოდნენ. ჩვენ ეხლავე ძლიერები ვართ, მაგრამ ძალა და ღონე დღე და დღე გვემატება. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ევროპა მარტო ძალას სცემს პატივს... თქვენ შეგიძლიან გამოაცხადოთ გაზეთში: „მახმუდ-შევკეთმა მითხრა, ოსმალეთი ერთი ბეწვა ადგილს აღარავის დაუთმობს, გინდ მთელ ქვეყნიერობასთან მოუხდეს ომიო“. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ჩვენ არავისთან არ მოგვიხდება ომი. ეხლანდელი ომი ისეთი საშინელი რამ არი, რომ არა მგონია, ვინმემ გაბედოს მისი დაწყება. ჩვენ მშვიდობიანობა გვწყურიან. ჩვენ მეტის მეტად შრომა გვჭირია ოსმალეთის შინაგან განახლებისთვის. ასეთივე შრომა სჭირია ბალკანეთის სხვა სახელმწიფოებსაც. ნურავინ შეგვიშლის ხელსა. და ჩვენ ხელი-ხელ გადაბმულნი ერთპირად ვიმოქმედებთ: ყველანი — ოსმალეთი, ბოლგარია, სერბია, ჩერნოგორია, იქნება საბერძნეთი და რუმინიაც...

— ეგ ხომ ფედერაციაა...

— დიახ, ფედერაციაა, რომელიც არავის არ ემუქრის, და მხოლოდ თავის სრულ დამოუკიდებლობასა და ხელუხლებლობას აღიარებს.

# თეატრი და ხელოვნება

**გასამართლება.** მეტად საინტერესო საღამო გაიმართა ქართულ თეატრში შაბათს, 16 მარტს. ამ საღამოს გაასამართლეს დრამის „სამშობლოს“ გმირები — ქეთევანი და ლევან ხიმშიაშვილი.

გასამართლების პირველი ნაწილი მოსაწყენი იყო: ძალიან გაჭიანურდა ჩვენებების ჩამორთმევა. ბევრი [illegible] იყო, რაც არავითარ ინტერესს არ იწვევდა. თამამად შეიძლებოდა ამ ნაწილის შემოკლება. ამას ზედ დაერთო ის უსიამოვნო შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა დიმიტრი ჯაშის თავგასულობამ. წამოხტა პარტერიდან მამლა-ყინწასავით და დაუწყო თავმჯდომარეს რაღაზედაც გამოკამათება. მხოლოდ ჩვენში შეიძლება ასეთი დაურიდებლობა.

სურათი გამოიცვალა მეორე ნაწილის დაწყებისას, როდესაც ბრალმდებელსა და ვექილებზე მიდგა საქმე. მთელი საზოგადოება სმენად გადაიქცა. უნდა ვთქვათ, რომ კარგი და შინაარსიანი სიტყვები წარმოსთქვეს ბრალმდებელმა შალვა მესხიშვილმა და ვექილებმა ალექსანდრე მდივანმა და იოსებ მაჭავარიანმა, აგრეთვე ბრალდებულმა ქეთევანმა — გოგოლაშვილმა. მესხიშვილი დიდის გატაცებით ლაპარაკობდა, ქართულიც ძალიან ემარჯვებოდა. ორატორს საზოგადოებამ ცხარე ტაშის ცემით რამდენჯერმე გააწყვეტინა სიტყვა. უფრო ვრცლად ილაპარაკეს ვექილებმა. მაჭავარიანის საინტერესო და შინაარსიანმა სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. ვრცელი და კარგი სიტყვა წარმოსთქვა ქეთევანის გასამართლებლად აგრეთვე თამარ გოგოლაშვილმა.

სიტყვები იმდენად შინაარსიანი იყო, რომ საზოგადოება ძალზე დაინტერესდა, დიდი კამათი გაიმართა პარტერში ანტრაქტის დროს, როდესაც მოსამართლენი და ნაფიცი მსაჯულები სათათბიროდ გავიდნენ. არ გვახსოვს ქართულ თეატრში და ქართველ საზოგადოებაში ასეთი გატაცება, სიცოცხლე და ცხარე სჯა-ბაასი. ყველა მოუთმენლად მოელოდა ნა[illegible], თუმცა დამსწრეთა დიდ უმრავლესობას ვერც-კი წარმოედგინა, რომ ქეთევანსა და ხიმშიაშვილს გაამართლებდნენ.

გამოვიდნენ მსაჯულები, მათმა მამასახლისმა წაიკითხა ბრალდების მუხლები და გვამცნო, რომ მსაჯულებმა დამნაშავეთ არა სცნეს არც ქეთევანი და არც ხიმშიაშვილიო. გაისმა სუსტი ტაში, გაისმა სტვენაც. საზოგადოება, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო დარჩა ამგვარ განაჩენისა. უკმაყოფილონი იყვნენ თვით მსაჯულებიც. მათაც დიდი კამათი ჰქონიათ, ვერ შეთანხმებულან, რადგან ცოტა დრო ჰქონდათ. ამას გარდა, აჩქარებდნენ, პოლიცია ნებას არ იძლევა 12 საათს შემდეგ გაგრძელდეს საღამოო (შემდეგ ნება დართეს), ზოგ მსაჯულს მონაწილეობა აღარ მიეღო, ზოგს ეთქვა, გადავდოთ და განაჩენი გაზეთში გამოვაცხადოთო, და ასე და ამ ყოფაში გადაეწყვიტათ საქმე...

ყოველ შემთხვევაში საღამო ძალიან საყურადღებო იყო, რადგან საზოგადოება ძალზე დაინტერესა და გამოიწვია აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

დასასრულ წარმოადგინეს ერთ მოქმედებიანი დრამა „პირველი და უკანასკნელი კოცნა“.

---

**სასულიერო კონცერტი.** 30 მარტს საარტისტო საზოგადოების დარბაზში გაიმართება სასულიერო კონცერტი. კონცერტს მართავს სასულიერო წოდების ქვრივ-ობოლთა დამხმარებელი საზოგადოება. კონცერტის მთელი შემოსავალი საზოგადოებას გადაეცემა.

---

**ანკეტა სახალხო სახლში.** 13 მარტს სახალხო სახლში ქართულ წარმოდგენების მართველმა წრემ ხალხს დაურიგა განსაკუთრებული ფურცლები ორის კითხვით: 1. სახალხო სახლში წარმოსადგენად რომელი პიესა უფრო სასურველია; 2. დადგმულ პიესებიდან რომელი პიესა უფრო მოგწონთ. დაარიგეს სულ 276 ფურცელი. ყველაზედ მეტი ხმა მიიღო შემდეგმა პიესებმა: შილლერის „ყაჩაღებმა“, სუმბათაშვილის „ღალატმა“, ირეთელის „ქრისტინემ“, გეიერმანსის „იმედის დალუპვამ“, ოსტროვსკის „უდანაშაულოდ დასჯილნი“-მ, შექსპირის „ჰამლეტმა“, იერეთელის „დამარცხებულნი“-მ, იუშკევიჩის „მეფე“-მ და დიუმას „კინმა“. დადგმულ პიესებიდან ხალხს მოსწონებია შილერის „ყაჩაღები“, ოსტროვსკის „უდანაშაულოდ დასჯილნი“ და გეიერმანსის „იმედის დალუპვა“.

## ქეთევანი გაამართლეს!?

მოღალატეა ქეთევანი!

საზიზღრობაზე საზიზღრობაა მისგან საქართველოს გაყიდვა, რომელთან ერთადაც გაჰყიდა თავისი ადამიანობა, ის ადამიანობა, რომელიც არ გაიცვლების არც სიყვარულზე, არც სიცოცხლეზე, არც თვით სამშობლოზე; ის ადამიანობა, რომელიც უცვლელად რჩება ცხოვრების მუდმივ ქარტეხილში. წმიდათა რჩება თვით საზიზღრობაშიაც და არ გაიცვლების იგი არაფერ ქვეყნიურ სიკეთეზე, არაფერ ბედნიერებაზე, რადგან თვით მისი ქონა არის სიკეთეთა-სიკეთე, უმაღლესი ბედნიერება.

თორმეტმა კაცმა, თორმეტმა ქართველმა კი გაამართლეს, ის, ვინც გაჰყიდა მათი სამშობლო, ვინც საქართველო, თავისუფლების კარამდის მისული, ბორკილებით შებოჭილი ისევ მონობის ჯურღმულში სტყორცნა, ვინც მტრის ცეცხლს მისცა საუკეთესო მამულისშვილნი, ვინც ტანჯულ სამშობლოს კვალად დაუბრუნა ცეცხლი, მახვილი, აწიოკება, ტანჯვა-ვაება.

არის დანაშაული, რომელსაც ვერ გამოისყიდის თვით წრფელი სიყვარულიც. ეს არის სამშობლოს გასყიდვა, ქვეყნის უბედურობით თავის ბედნიერების გამოსყიდვა.

არის ღალატი, რომელსაც ვერავითარი ლმობიერება, ვერავითარი გულკეთილობა ვერ გაამართლებს, ეს არის ღალატი მთელის ქვეყნისა, მთელის ერისა.

ქეთევანმა გაჰყიდა მთელი საქართველო, ქეთევანმა გაჰყიდა მთელი ერი.

ხალხის მომავალი ბედნიერება მან აქცია ახალ უბედურებად, დასამტვრევად გამზადებული ბორკილები მან ახლად გასჭედა, სამშობლოს მკერდზე ჩამქრალი ცეცხლი მან ახლად აღანთო.

და ამ გასყიდულ სამშობლოს შვილებმა, ტანჯულ ხალხის შთამომავლებმა თავიანთ გულში იპოვეს საკმაო სისუსტე-ლმობიერება, რომ გაემართლებინათ ეს უგონო, სულმდაბალი მოღალატე.

სიმართლე აღირსოთ მას, ვინც მთელი ქვეყნის უბედურობით თვით უნდა გახდეს ბედნიერი? ვინც ღალატით სცდილობს დაიბრუნოს სიყვარული?

ესეთ ბედნიერებას სხვა არავინ გაუწოდებს ხელს, ოდეს გაიცნობს თუ რაზეა ის დამყარებული; ესეთ სიყვარულს სხვა ვერავინ გასცემს სიყვარულითვე პასუხს, როცა გაიცნობს, თუ რა მსხვერპლით არის იგი გამოსყიდული.

ქეთევანს შეუძლიან სიყვარულისთვის უღალატოს თავის ქმარს ლეონიძეს, მაგრამ არა აქვს უფლება უღალატოს საქართველოს.

ლევანსაც შეუძლიან აიტანოს ქეთევანისაგან სვიმონის ღალატი, მაგრამ იგი ვერ აიტანს მისგან სამშობლოს ღალატს.

ქეთევანი ამბობს—მე ქალი ვარ და ჩემი სამშობლო სიყვარულიაო.

მისი სიყვარული განხორციელებული იყო ლევანში და ლევანს კი ჰქონდა სამშობლო, მაშ, მას შეეძლო ლევანის სამშობლო გაეხადა თავის სამშობლოდაც, რადგან იგი ღრმად იყო ჩართული იმის „სამშობლოში“—სიყვარულში.

და თუ მისი სიყვარული ისე უსინათლო იყო, რომ ვერა ჰხედავდა ლევანის, თავის სატრფოს, უმთავრეს სიყვარულს, სამშობლოს, მაშინ რაღა ფასი აქვს ასეთ ბრმა სიყვარულს ღალატით მოსულდგმულეს, უბედურებით გარშემოხვეულს?

მართალია, თვით ქეთევანს არა ჰქონდა სამშობლო, მაგრამ ეს სრულიადაც არ აძლევდა საბუთს თავის პირად ბედნიერებისათვის ენაცვალებინა სხვისი სამშობლო; მას უფლება ჰქონდა სიყვარულისა, მაგრამ არა ჰქონდა უფლება ამ სიყვარულისთვის მსხვერპლად შეეწირა სხვისი სამშობლო; მას შეეძლო თვით სიცოცხლეც შეეწირა მსხვერპლად თავის სიყვარულისთვის, მაგრამ თავისი ადამიანობა კი უმწიკვლოდ უნდა შეენახა.

მესხიშვილისა არ იყვეს, ჭეშმარიტი სიყვარული ის არის, რომელშიაც არის სიმართლე, გულახდილობა, სიამაყე, ღირსეულობა.

ქეთევანი კი სჩქმალავდა თავის სიყვარულს, ვიდრე გაუგებდა სვიმონი, ჰფარავდა მისთვის ღალატს, ვიდრე შეუტყობდა ლევანი.

ქეთევანი გაიძვერა იყო; და ჭეშმარიტი სიყვარული კი არა ჰყვავის იმ გულში, სადაც ჰბუდობს გაიძვერობა; იმის ძარღვებში მოღალატის სისხლი სჩქეფდა და რა უნდა მოღალატის არსებაში პატიოსნურ გრძნობას, სიყვარულს?

და თუ ასეთ ადამიანს გაამართლებენ, ამასთან გაამართლებენ ისინი, ვისი სამშობლოც გაჰყიდა, ვისი წინაპრებიც ცეცხლს მისცა, მაშ, ვიღას გამტყუნება შეიძლება!

ჭეშმარიტი სიყვარული ძლიერია, მხოლოდ თუ გადასცდა პატიოსნების საზღვრებს—იგი უძლურდება.

წმინდა სიყვარული პატივსაცემია, სათაყვანო, მაგრამ თუ დავიდა საზიზღრობამდის, მაშინ ეკარგვის სიწმინდავეც და ღირსი ხდება დაგმობისა, ზიზღისა, გაკიცხვისა.

ქეთევანის სიყვარული იყო მასავით მდაბალი, სულმოკლე, ცხოველური და ნუ თუ ასეთ სიყვარულს შეუძლიან გაამართლოს ქვეყნის ღალატში, ხალხის გაუბედურებაში?

გაამართლეს ის, ვინც გაამტყუნა თვით მისავე სატრფომ.

გაამართლეს ის, ვისაც მოღალატის სახელი უწოდა თვით მისავე უსაზღვრო მოტრფიალემ.

გაამართლეს ის, ვისაც გული გაუგმირა თვით მისივე სატრფოს ხელმა, გული, რომელშიაც სჩქეფდა, წყარო მისი სიყვარულისა, რომელსაც იგი ნეტარებით ეწაფებოდა, ვიდრე ამ წყაროს ნაპირზე ამ ავიდოდა ეკალი სამშობლოს ღალატისა.

ნუ თუ მათ, ვინც გაამართლეს ქეთევანი, ლევანზე მეტად უყვარდათ იგი, რომელმაც გაამტყუნა და სიკვდილიც მიუსაჯა ღირსეულად?

არა, ლევანმა დასაჯა ქეთევანი იმიტომ, რომ მას ქეთევანზე მეტად უყვარდა თავისი სამშობლო.

ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს ქეთევანი იმიტომ, რომ მათ ან ლევანისავით არ უყვარდათ თავიანთი სამშობლო, ან სიტყვებით, თეორიულად გათვალისწინებული საზიზღარი ღალატობა შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა მათზე. სხვანაირად არ აიხსნება ეს მოულოდნელი შედეგი.

თვით ლევანის გამართლებას კი ძალიან ბევრი საბუთი აქვს და ამას კი შეიძლება ცალკე შევეხოთ.

ეს გასამართლება საინტერესო იყო იმით, რომ თვით მაყურებელმა საზოგადოებამაც ნამდვილი აქტიურობა გამოიჩინა. მან, უმნიშვნელო უმცირესობის გარდა, სრულებით არ მიიღო სასამართლოს გადაწყვეტილება და ერთხმოვანი პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, განსაკუთრებით ვერ შეურიგდა იგი ქეთევანის გამართლებას, რომელიც ყოველ ეჭვს გარეშე მიაჩნდათ დამნაშავედ.

**ლევ. მეტრეველი.**

## გასამართლების შესახებ

ქეთევანისა და ხიმშიაშვილის გასამართლებას სამართლიანი უკმაყოფილებით შეჰხვდა საზოგადოება. ნაფიც-მსაჯულთა შორის იყო უმცირესობა, სამი კაცი, რომელიც წინააღმდეგი იყო უმრავლესობის განაჩენისა. ეს უმცირესობა თხოულობდა, განაჩენის წაკითხვის დროს ნაფიც-მსაჯულთა მამასახლისს აღენიშნა, თუ რამდენი კაცი იყო მომხრე ამ განაჩენისა, მაგრამ ეს აზრი არ შეიწყნარეს, რადგან უმცირესობა მოვალეა დაემორჩილოს უმრავლესობის აზრსაო. საზოგადოთ, მეტად ცუდ პირობებში ხდებოდა მსაჯულთა თათბირი. ძალდატანება იყო თეატრის ადმინისტრაციისა. მაგრამ მაინც შეუწყნარებელია სასამართლოს ასეთი განაჩენის გამოტანა—აშკარა დამნაშავეთა გასამართლება. მოვალეთ ვთვლი ჩემს თავს გამოვაცხადო, რომ ნაფიც-მსაჯულთაგან რამდენიმე კაცი არ ვეთანხმებოდით დანარჩენებს.

**ს. მაჭავარიანი.**

## იძულებული განმარტება

(წერილი რედაქციის მიმართ).

სამშაბათს საღამოს ქართულ თეატრში დრ. „სამშობლოს“ გმირების გასამართლების დროს, მეც ვიყავ, სხვათა შორის, მიწვეული ნაფიც მსაჯულთა რიცხვში.

ვინაიდან სასამართლოს მიერ გვარიანად ბუნდოვანი ენით დასმულ საბრალმდებლო კითხვებზე ნაფიც-მსაჯულთა დადგენილებამ საფუძვლიანად გამოიწვია უკმაყოფილება დამსწრე საზოგადოებაში და ბევრმაც გვისაყვედურა, რომ „ვერ გაამართლეს საზოგადოების რწმენა ზნეობრივ მოვალეობის პრინციპებზედო“,—ნებას ვაძლევ ჩემ თავს და საჯაროდ ვაღიარებ, რომ მე და რამდენიმე სხვა მსაჯული წინააღმდეგნი ვიყავით ლევან ხიმშიაშვილის გასამართლებისა. შეიძლება შემცდარი ვიყავი. შორს წაგვიყვანს ამის მოტივების მოყვანა, მაგრამ ეს ჩემი რწმენა იყო.

ამასთან საჭიროდ ვსთვლი დავსძინო, რომ საღამოს ზოგიერთი გამგე თავზე გვადგნენ და გვაჩქარებდნენ, რომ ამ გვარ რთულ და ზნეობრივად პასუხსაგებელ საკითხის გადაწყვეტა, რაიც მოითხოვდა დიდი ხნის კამათს, გამოგვეტანა ხუთიოდე წამში „თორემ თეატრს დაგვიხურავენო“.

არც იმაზე დაგვთანხმდნენ, რომ დროს უქონლობისა გამო, გადაედოთ ჩვენი დადგენილების გამოცხადება, რასაც ვაპირებდით გაზეთების საშუალებით.

ამიტომ მოხდა ის, რომ ჩვენი დადგენილება ვერ მისწვდა გულს საზოგადოებისას, იგი უკმაყოფილო დარჩა ჩვენით, რომ „პირნათლად ვერ აღვასრულეთ ჩვენი დანიშნულება“...

**გ. სალარიძე.**

## ქალთა ოთხ-კლ. სასწავლებელი ლანჩხუთში

(დასასრული*)

ქვევით ბ-ნი „პედაგოგი“ ფრიად საჭმაო გულ-მტკივნეულობას იჩენს ლანჩხუთელებზე: „ბატუმსკია იზვესტიის“ მე-59 ნომერში იგი გაიძახის: „ლანჩხუთელები ისედაც დავალიანებულნი არიან; მათ ათასი რამ სხვა და სხვა ხარჯი აწევთ კისერზე: ცალკე ფოსტისთვის ახდევინებენ ფულს, ცალკე სავადმყოფოსთვის, ცალკე მომრიგებელ მოსამართლისთვის და ამიტომ არ შეუძლიანთ ახალ სასწავლებლისთვის ახალ ხარჯის გაწევაო“. ყოველივე ეს მოკლებულია გულწრფელობას და სიმართლეს: თუ რამ ხარჯი იყო საჭირო ამ დაწესებულებების ლანჩხუთში გასახსნელად, უკვე თავის დროზე გაიღო ლანჩხუთმა და დღეს იგი სრულიად თავისუფალია ყოველნაირ ამ გვარ ხარჯისაგან. რაც შეეხება ბ-ნ შუხუთელის შიშს იმის შესახებ, რომ ლანჩხუთელებს ისედაც ბევრი აწევთ სხვა და სხვა სკოლის ხარჯი და ამიტომ დანაპირების შესრულებას ვერ შესძლებენ, ხოლო შუხუთელები სრულიად თავისუფალნი არიან ასეთ ხარჯებისაგან და ამიტომ იმათი დაპირებაც ნაღდი იქნებაო, აქაც ფაქტი სულ სხვას გვეუბნება: 1909 წ. დამლევს ითვლებოდა დარჩენილი გადასახადი მთელ ლანჩხუთის საზოგადოებაზე 950 მანეთამდის. ამ საერთო ჯამიდან ს. შუხუთს უწევდა გადასახდელად 330 მანეთამდის. უკეთ რომ ვსთქვათ, 1910 წ. 1 იანვარს ექვსას კომლიან ლანჩხუთზე ითვლებოდა გადაუხდელი ვალი 620 მანეთამდის, ხოლო 206 კომლიან შუხუთზე 330 მანეთამდის. აქედან ცხადია, რომ ს. შუხუთის ყოველ კომლს უფრო მეტი ვალი დარჩენია გადაუხდელი წლის ბოლოს, ვიდრე ლანჩხუთისას. ამნაირად, გამოდის, რომ ლანჩხუთელებს სხვა და სხვა დაწესებულების მოწესრიგებაში ბევრი ხარჯი გაუღიათ. დღესაც ბევრს ხარჯავს სხვა და სხვა სკოლის შესანახად და ყველა ამის მიუხედავად მაინც სხვებზე ნაკლები ვალი დარჩენიათ გადაუხდელი! ხოლო შუხუთელებს ასეთ საზოგადო ხასიათის დაწესებულებების შესამქნელად ჯერ-ჯერობით არაფერი დაუხარჯავთ მაინცა და მაინც, დღესაც არაფერს ხარჯავენ სკოლების შესანახად და ამისდა მიუხედავად მაინც ლანჩხუთელებზე მეტი ვალი დარჩენიათ წლის ბოლოს გადაუხდელი!..

შემდეგ ბ-ნი შუხუთელი სწერს: „ლანჩხუთელებს არამც თუ გამზადებული სახლი სასწავლებლისთვის, არამედ მიწაც კი არ გამოხნდათ იმის დასადგმელადაო“. სინამდვილის განძრახ მიფუჩეჩებაა: ლანჩხუთელებმა მიწა არა თუ მარტო ახალ სასწავლებლისთვის, არამედ ლანჩხუთში არსებულ ორკლასიან სასწავლებლის ახალ შენობის დასადგმელადაც უკვე შეიძინა. პირველი იყიდა 4000 მანეთად, ხოლო მეორე—2000 მანეთად. მარინეს საქალებო სასწავლებლის დასადგმელ მიწის გარდა ლანჩხუთმა შეიძინა კიდევ ამავე სასწავლებლისთვის ხუთ თვალიანი სახლი, რომელშიაც დღეს მოთავსებულია ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. ამ ნაირად, დღეს ლანჩხუთმა უკვე შვიდ ათას ხუთას მანეთად ღირებული მამული შეიძინა სკოლებისთვის, რომელთა შორის 5500 მანეთი ახალ სასწავლებლის გარანტიას შეადგენს.

აი, ამგვარ ყალბი ცნობებით გაავსეს რუსულ გაზეთების („ბატ. იზვეს.“ და „ტიფ. ლისტ.“) ფურცლები შუხუთელების მესვეურებმა, და გაავსეს იმ მოსაზრებით, რომ ლანჩხუთელების მიერ შარშან მაისში აღძრულ შუამდგომლობისთვის როგორმე ხელი შეეშალათ! ჩვენ კი ამ სოფლის შესახებ ზოგიერთი სინამდვილის დაწერაც მოგვერიდა რუსულ გაზეთებში, რადგან არა გვსურდა მართველ წრეების საყურადღებოდ შუხუთელების შინაგანი მდგომარეობა გამოგვეაშკარავებინა. სამაგიეროთ ნურავინ დაგვემდურება, თუ ქართულ გაზეთში შუხუთელების ზოგიერთ რამეებში ვამხელთ. ბ-ნნი შუხუთელი, გ. პ. და პედაგოგი ირწმუნებიან თავიანთ წერილებში, რომ ერთდროულ თანხასთან და სამ ქცევა მიწასთან ერთად შუხუთელებს ორ-სართულიანი ქვის შენობაც მზად აქვთ მარინეს ქ. სასწავლებლისთვისაო“. ნამდვილად კი ორ-სართულიან სახლის მაგივრად იქა სდგას ერთ სართულიანი ქვის კედლები—უიატაკოდ, უჭეროდ და უსახურაოდ*). თითქმის რვა წელიწადი იქნება, რაც ეს შენობა გამოიწყეს შუხუთელებმა და აქნობამდის ვერაფერი უშვედეს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს სასოფლო შენობა სასულიერო უწყებას ეკუთვნის. სოფლის ერთმა ნაწილმა განიზრახა ამ შენობისა—ორ-კლასიან სამინისტრო სკოლისთვის გადაკეთება, ანუ—უკეთ რომ ვსთქვათ, სამინისტროსთვის გადაცემა. ამას წინააღუდგა სოფლის მეორე ნაწილი. ასტყდა მათ შორის ბრძოლა, რომელმაც ქნობამდის მოატანა. აი, ამ სადაო ქვის კედლების გამოყენება მოისურვეს შუხუთელებმა მარინეს ქ. სასწავლებლისთვის. მაგრამ აქ საქმე იმაშია, რომ ამ შენობას სასულიერო უწყება დღესაც არ უთმობს სამინისტროს. ამაში რომ დავრწმუნებულიყავ, მე, მამა ეპიფანესთან ერთად, უკვე ვინახულე ტფილისში ყოვლად სამღვდელო დეონიდე და ვკითხეთ: სასულიერო უწყებას ხომ არაფერი ექნება საწინააღმდეგო, რომ შუხუთელებმა ზემო აღნიშნული შენობა მარინეს სასწავლებელს დაუთმონ-მეთქი. „თუმცა მე ეს საქმე საბჭოს გადავეცი განსახილველად, მაგრამ ახლავე შემიძლიან გითხრათ, რომ სასულიერო უწყება ამ შენობას არავის დაუთმობსო“,—იყო პასუხი. იქიდან გამობრუნებულებმა სრულიად შემთხვევით შევხვდით ეპარქიის სკოლების მეთვალყურეს ბ-ნ ს., რომელმაც ისეთივე პასუხი მოგვცა, როგორიც ყოვლად სამღვდელო დეონიდემ. ასეთ პასუხების შემდეგ ცხადია, რომ სოფელ შუხუთს ჯერაც არ გაუთავებია საქმე სასულიერო უწყებასთან და ამის და მიუხედავად კი ლანჩხუთს ხელს უშლის ახალ საქალებო სასწავლებლის დაარსების საქმეში!!.. ცხადია აგრეთვე ისიც, რომ მათგან გარანტიათ შეძლეული ორ სართულიანი ქვის შენობა ეგრედ წოდებული „ენუქას“ ანდერძია და სხვა არაფერი.

ქვევით ბ-ნი პედაგოგი გატაცებული შუხუთის გაზვიადებით, სწერს „ბათუმის იზვესტიის“ მე-59 ნომერში: „შეჰხედეთ შუხუთის თვალ-წარმტაც შუნებას... მის პატარა მთის მდინარეს, საუცხოვო მთის ჰაერს და დარწმუნდებით, რომ შუხუთი პირ-და-პირ მარინეს საქ. სასწავლებლისთვის არის შექმნილიო!“ ნამდვილად კი შუხუთი ჰაერისა და ბუნების მხრით არავითარ განსხვავებას არ წარმოადგენს სხვა სოფლებთან შედარებით. პირიქით, უვედა მიუდგომელი კაცი ამ მხრით ლანჩხუთს მისცემს უპირატესობას. ხოლო რაც შეეხება მთის ანკარა მდინარეს, ის მიჩუხჩუხებს მხოლოდ წვიმიან ამინდში და საზოგადოდ ზამთარში. ზაფხულობით, ნამეტნავად კი გვალვის დროს, ნურას უკაცრავად, თუ იქ წყლის მაგივრად მზისგან გახურებული ქვიშა დაგიხვდეთ.

ბოლოს ერთ წუთას წარმოიდგინოთ, რომ შუხუთელები ქონებრივად უფრო შეძლებულნი არიან ლანჩხუთელებზე და ამიტომ ამ უკანასკნელებმა განიზრახეს ხაზინის დახმარებით აღნიშნული სასწავლებლის ლანჩხუთში გახსნა. ნუ თუ ასეთ კეთილ განზრახვის განხორციელების საქმეში შუხუთელებს ხელი უნდა შეეშალოთ ლანჩხუთელებისთვის?! შუხუთის ჭირისუფლების მიერ შეუძლოთ ცნობილი ლანჩხუთი თუ კი ათასი მანეთით ათი-ათას მანეთიან საქმეს გაიკეთებდა თავის ეზოში (თუ გინდ ხაზინის შემწეობით), რატომ უნდა შეჰშურებოდა ეს შეძლებულად ცნობილ შუხუთს, და რატომ უნდა შეეშალათ ხელი?! თუ ლანჩხუთელებს ამ სასწავლებლის შენახვაში ცოტა ფულის ამოღება დასჭირდებოდათ თავიანთ ჯიბიდან, მაშინ წლიური სასწავლო გადასახადიც მცირე დაწესდებოდა ამ სასწავლებელში და ეს ხომ ერთ ნაპირად მოუთბობდა მთელ საბოქაულოს მცხოვრებთ?! ხოლო თუ შუხუთი ამავე სკოლის საქმეში ორ-სამჯერ მეტს დახარჯავს, ვიდრე ლანჩხუთი და ამასთან სასწავლებლის შესანახად უწყვედ უღელში გაუყრის თავს, მაშინ უეჭველია სასწავლო წლიური გადასახადიც მეტი იქნება მოწაფეთათვის და ეს ხომ მძიმე ლოდივით დააწვება კისერზე ღარიბ ოჯახებს?! ერთი სიტყვით, საიდანაც უნდა მოუარო და შეხედო ამ ზემოაღნიშნულ საქციელს, დარწმუნდებით, რომ შუხუთელების და ამ საქმეში მათ თანამოაზრე ინტელიგენციის გალაშქრება ლანჩხუთელების წინააღმდეგ მოკლებულია ყოველგვარ გამამართლებელ საბუთს და სამართლიანობას.

**ტ. ართმელაძე.**

*) იხ. „დროება“ № 60

**) ამ ხარჯს (18 მ.) იხეთი პირობით კისრულობს შუხუთი, რომ იმის ხამერმისოდ შემცირება მამინაც კი არ შეიძლება, სკოლას ზედ-მეტი შემოსავალი რომ გაუჩნდეს...

*) აქვე, სკოლის წინ, გაფანტულია ხის მასალები, ალბად ერთ სართულიან სახლის მოსასრულებლად.


## განცხადებანი

**იყიდება** საზლკარის ადგილი საგაბაშვილოს დაჩაში (თხინვალში), ზომით 193,5 კვად. საჟენი. მსურველთ შეუძლიან მიმართონ სასახლის ქუჩაზე თავად-აზნაურთა ქარვასლაში. იკითხოს მოსამსახურე გიორგი სვიმონოვი. (1—186—1)

**ქუთაისში**
◀ კიწმარაშვილის და ამხ. ▶
**თესლეულობის მაღაზიაში** მიღებულია სხვა და სხვა თესლეულობა ახალ მოსავლის, ყვავილების და ბალახების: იონჯის, სამყურის და კონდრისა. აქვე იყიდება საგანგებოდ დამზადებული ძმათა პასხალიდების თეთრი ქრეშუმის თესლი. მსურველთ კატალოგი უფასოდ ეგზავნებათ. (25—კვ.—9)




ურჩევთ ყველას,
მიიღონ
ინტელიგენტი მომუშავენი,
**ხელზე მოსამსახურე და**
**ყველა**
◀ პროფესიის მუშები ▶
რჩევისათვის ვიღებთ 20 კაპ. მხოლოდ დამქირავებელთაგან.
კანტორა ღიაა დილის 9 საათ. საღამოს 6 საათამდე. კვირაობით და უქმე დღეებში შუადღის 12 საათამდე. (5—გაყ.—2)

## სანერგე ამერიკულ ვაზისა
„კლო-ეგურული“ ქუთაისში.
● **უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში** ●
1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.
**მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.**
აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—6.—32)

## ქალების საყურადღებოდ!
◀ გაზაფხულისა და ზაფხულის სეზონისათვის ▶
**ბ-ნ ლევინსონის ქალის შლიაპების მაღაზიაში**
**განოვის ქუჩა № 6.**
დამზადებულია დიდ-ძალი შლიაპა მოდისა, მშვენიერი, პარიზისა და ვენის უკანასკნელ ჟურნალებსა და მოდელებზე. არის მორთული შლიაპები, არის სადა და ბავშვებისა. დიდი ყურადღება მიქცეული ინგლისის გემოვნებაზე დამზადებულ შლიაპებზე. შლიაპების გაკეთებას 25 მარტის შემდეგ აღარ ვკისრულობთ. ქალაქ გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიკვეთონ შლიაპები ფასდადებით. (2—ტ.—2)


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.
რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.